



უკრაინა/რუსეთი: უკრაინელი ოფიცერი 'ყირიმში ბაზაზე თავდასხმას ემსხვერპლა'

*საქმე მომზადებულია გიორგი დვალაძის მიერ მაკრო სასოლისა და ივეტ ისარის ზედამხედველობით (Case prepared by George Dvaladze under the supervision of Marco Sassoli and Yvette Issar).

A. Human Rights Watch-ის ანგარიში: 'კითხვა-პასუხი: რუსეთი, უკრაინა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი და ადამიანის უფლებების სამართალი'

[წყარო: Questions and Answers: Russia, Ukraine and International Humanitarian Law and Human Rights Law, HRW, 22 მარტი 2014, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <https://www.hrw.org/news/2014/03/21/questions-and-answers-russia-ukraine-and-international-humanitarian-and-human-rights>]

[1] 2014 წლის თებერვლიდან, განმასხვავებელი ნიშნის არმქონე სამხედრო ფორმაში გამოწყობილი შეიარაღებული ძალების პერსონალი აცხადებს, რომ ისინი ხელისუფლებას ახორციელებენ უკრაინის რეგიონზე - ყირიმზე. 2013 წლის მდგომარეობით, შავი ზღვის ფლოტის სტატუსისა და პირობების შესახებ 1977 წლის გაყოფის ხელშეკრულების დებულებების შესაბამისად ყირიმში რუსული საზღვაო ფლოტის 13,000-მდე სამხედრო იმყოფებოდა. უკრაინა აცხადებს, რომ ამჟამად ყირიმში ამ რიცხვზე რამდენიმე ათასით უფრო მეტი პერსონალი იმყოფება.

[2] დამატებითმა დანაყოფებმა, რომლებიც რუსეთიდან გადმოიყვანეს, მონაწილეობა მიიღეს ყირიმის ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების მიერ განხორციელებულ უსაფრთხოების ოპერაციებში. ყირიმში მყოფი რუსი სამხედრო პერსონალი და პრო-რუსული ლაშქრები უკრაინის შეიარაღებულ ძალებს შესაძლებლობას არ აძლევენ დატოვონ თავიანთი ბაზები, მათ აგრეთვე დაამყარეს კონტროლო სტრატეგიულ ობიექტებზე, როგორცაა უკრაინის ხერსონის ოლქის ბუნებრივი აირის ტერმინალი, და გაატარეს ღონისძიებები ყირიმის ადმინისტრაციული საზღვრების უკრაინის დანარჩენი ტერიტორიისგან დასაცავად.

[3] 16 მარტს ყირიმის ადგილობრივმა ხელისუფლებამ გამართა რეფერენდუმი საკითხზე, უნდა გამოყოფოდა თუ არა ყირიმი უკრაინას, რათა შემდეგ რუსეთის ფედერაციას შეერთებოდა. უკრაინის მთავრობამ წინააღმდეგობა გაუწია რეფერენდუმის გამართვის იდეას და აღნიშნა, რომ ის უკანონო იყო. მას შემდეგ, რაც 17 მარტს გამოცხადდა, რომ მოსახლეობის 97% ყირიმის რუსეთთან შეერთებას უჭერდა მხარს, რუსეთის პრეზიდენტმა, ვლადიმერ პუტინმა ხელი მოაწერა დადგენილებას, რომლის თანახმადაც ყირიმი დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ცნო. 18 მარტს, პუტინმა და ყირიმის ხელისუფლების წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას, რომლითაც ყირიმი და ქალაქი სევასტოპოლი რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში შევიდა. პუტინმა რუსეთის პარლამენტს მოუწოდა მიეღო კანონმდებლობა, რომლის თანახმადაც რუსეთის ფედერაცია თავის შემადგენლობაში იღებდა ყირიმს და ქალაქ სევასტოპოლს.

[4] Human Rights Watch [HRW] მიიჩნევს, რომ ყირიმში მყოფ რუსეთის ფედერაციის შეიარაღებულ ძალებზე ვრცელდება ოკუპაციის მარეგულირებელი საერთაშორისო სამართალი. საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მიხედვით, ოკუპანტი ძალა ვალდებულია შეძლებისდაგვარად აღადგინოს და უზრუნველყოს საჯარო წესრიგი და უსაფრთხოება და ამავედროულად დაიცვას ოკუპირებული სახელმწიფოს მოქმედი კანონმდებლობა, თუკი ეს აბსოლუტურად შეუძლებელი არ არის. ისეთ შემთხვევებში, რომლებიც ოკუპაციას უტოლდება, მოქმედებას განაგრძობს ადამიანის უფლებების საერთაშორისო სამართალიც. ამრიგად, ოკუპანტი ძალა პასუხისმგებელია ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებისა და თავის დაქვემდებარებაში მყოფი ძალების მიერ ჩადენილი საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლისა და ადამიანის უფლებების საერთაშორისო სამართლის დარღვევებზე.

[5] აღნიშნული შეფასება ეყრდნობა ყირიმში შექმნილ ვითარებას, რომელზეც ვრცელდება ჟენევის 1949 წლის IV კონვენცია, როგორც ეს ქვემოთ არის განხილული. რეფერენდუმის შედეგები, ყირიმის ადგილობრივი ხელისუფლების მიერ მიღებული გადაწყვეტილება სუვერენიტეტის საკითხზე, და რუსეთის მთავრობის მიერ რეფერენდუმის აღიარება გავლენას არ ახდენს ყირიმში შექმნილ ვითარებაზე ოკუპაციის სამართლის გავრცელებაზე.

[...]

[6] სტანდარტები, რომლებიც ოკუპაციის დაწყების მომენტის დასადგენად გამოიყენება ჟენევის კონვენციებითა არაა გათვალისწინებული, თუმცა ცალკეულ კრიტერიუმებს გამოყოფენ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ექსპერტები. ესენია:

1. უცხო ქვეყნის შეიარაღებული ძალების ყოფნა ტერიტორიაზე;
2. იმ ტერიტორიაზე, რომელიც ოკუპირებულად მიიჩნევა, ხელისუფლების განხორციელება ('ფაქტური კონტროლი');
3. თანხმობის არარსებობა იმ ქვეყნის მხრიდან, რომლის ტერიტორიაც მოწინააღმდეგე მხარის ჯარების მიერ ოკუპირებულად მიიჩნევა;
4. არაპირდაპირი კონტროლი, რომელიც ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებზე ან სხვა ჯგუფზე *დე ფაქტო* კონტროლის საშუალებით ხორციელდება.

[7] მოცემულ შემთხვევაში ეს კრიტერიუმები დაკმაყოფილებულია. თებერვლიდან, ე.წ. ყირიმის თავდაცვის ძალებმა, რომლებსაც თან ახლდა სრულად შეიარაღებული უსაფრთხოების ძალების პერსონალი (რომლებიც სამხედრო სიმბოლიკას არ ატარებდნენ), მთელი ყირიმის მასშტაბით დაიკავა და მას შემდეგ ახორციელებს ადმინისტრაციული შენობებისა და სამხედრო ბაზების კონტროლს. მიუხედავად იმისა, რომ როგორც ყირიმის, ისე - რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლები უარყოფდნენ, რომ ეს ძალები რუსეთს ეკუთვნოდნენ, HRW-მა თავად მოახდინა იდენტიფიცირება, რომ ცალკეული დანაყოფები მაინც აშკარად რუსეთის შეიარაღებული ძალების წევრები იყვნენ. ბევრმა ჟურნალისტმა და HRW-ის წარმომადგენლებმა აშკარად შენიშნა სამხედრო ტრანსპორტი და სხვა აღჭურვილობა, რომელიც უკრაინულ შეიარაღებულ ძალებს არ აქვთ [...].

როდიდან ვრცელდება უკრაინის ტერიტორიაზე რუსეთის ყოფნაზე ოკუპაციის სამართალი?

[8] 1949 წლის ჟენევის კონვენციების თანახმად, ტერიტორია 'ოკუპირებულად' მიჩნევა, როდესაც ის სრულად ან მისი ნაწილი, ექვემდებარება უცხო ქვეყნის შეიარაღებული ძალების კონტროლის ან ხელისუფლების, და ამისთვის არ არსებობს იმ სახელმწიფოს მთავრობის თანხმობა, რომელსაც ეს ტერიტორია ეკუთვნის. ეს არის ფაქტობრივი შეფასების საგანი და ოკუპაციის მოტივებსა თუ მიზეზებს, მნიშვნელობა არ აქვს. მაშინაც კი, თუ უცხო ქვეყნის შეიარაღებული ძალების მიერ ამა-თუ-იმ ქვეყნის ტერიტორიის ოკუპაციას წინააღმდეგობას არ უწევს და დაპირისპირებული მხარეები არ იბრძვიან, როგორც კი ტერიტორია უცხო ქვეყნის შეიარაღებული ძალების ფაქტურ კონტროლს დაექვემდებარება, მოქმედებას იწყებს ოკუპაციის სამართალი.

[9] ამრიგად, როგორც კი რუსეთის შეიარაღებულმა ძალებმა დაიწყეს უკრაინის ტერიტორიის ცალკეული ზონების კონტროლი, როგორცაა ყირიმი, ის საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მნიშვნელობით [...] ოკუპანტი ძალა გახდა და მან უნდა დაიცვას თავისი საერთაშორისო ვალდებულებები. რუსეთის განცხადებებს, რომ უკრაინის ტერიტორიაზე მისი ჯარები არ იმყოფებიან სამართლებრივი შედეგები არ მოჰყვება, თუკი ფაქტობრივი მოცემულობა განსხვავებულია.

ახდენს თუ არა რუსეთის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე ოკუპაციის სამართლის გავრცელება გავლენას ამ ტერიტორიის სტატუსზე?

[10] ოკუპაციის სამართლის მოქმედება, ან იმის დადგენა, რომ რუსეთი საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მნიშვნელობით ოკუპანტი ძალაა, არანაირ გავლენას არ ახდენს ცალკეულ ტერიტორიაზე შესაბამისი სახელმწიფოს სუვერენული უფლების განხორციელების საკითხზე. ოკუპანტი ძალას არ გადაეცემა სუვერენიტეტი ოკუპირებულ ტერიტორიაზე.

[11] ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებმა ყირიმში 16 მარტის რეფერენდუმი უკრაინის მთავრობისგან ნებართვის გარეშე ჩაატარეს და მისი შედეგები ფართოდ არ უღიარებიათ სხვა ქვეყნების მთავრობებს. ამრიგად, ეს ვერ ჩაითვლება ამ ტერიტორიაზე სუვერენიტეტის სხვა ქვეყნისთვის გადაცემად, რასაც, თავის მხრივ შესაძლოა დაესრულებინა უცხო ქვეყნის ტერიტორიის ოკუპაცია.

ოკუპაციის მარეგულირებელი რომელი სამართალი ვრცელდება რუსეთსა და უკრაინაზე?

[12] მიუხედავად იმის, რომ ოკუპაცია საერთაშორისო ჩვეულებითი ჰუმანიტარული სამართალითაა რეგულირდება, ოკუპაციის სამართლის პირველადი თანამედროვე სახელმწიფოებო ნორმები გაწერილია 1907 წლის (ჰააგის) რეგულაციებში, ჟენევის 1949 წლის მეოთხე კონვენციას (ჟენევის IV კონვენცია) და ჟენევის 1949 წლის კონვენციების პირველი დამატებითი ოქმის (1977) ცალკეულ დებულებებში, რომლის ხელშეშეკრული მხარეებიც არიან როგორც რუსეთი, ისე - უკრაინა.

[13] წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტმა თავისსავე მიერ მომზადებულ *ქენევის მეოთხე კონვენციის კომენტარებში* აღნიშნა, რომ კონვენციით გათვალისწინებული ვალდებულებები მაშინვე იწყებს მოქმედებას, როგორც კი შეიარაღებული ძალები, რომლებიც ამ ტერიტორიაზე მიიწვევენ წინ სამოქალაქო მოსახლეობასთან კონტაქტს ამყარებენ; ეს არის ის ზღვარი, როდესაც სამართლის ნორმები ვრცელდება შეიარაღებული კონფლიქტის მხარეზე. ქენევის მეოთხე კონვენციის თანახმად, კონვენციის დაცვით სარგებლობენ ის პირები, რომლებიც შეიარაღებული კონფლიქტის იმ მხარის ან ოკუპანტი ძალის ხელში აღმოჩნდებიან და რომლის მოქალაქეებიც ისინი არ არიან. მიუხედავად იმისა, რომ ოკუპანტი ძალაზე შესაძლოა დაუყოვნებლივ და ერთბაშად არ გავრცელდეს ოკუპაციის სამართლის ყველა ვალდებულება (ცალკეული ვალდებულებების გააქტიურებისთვის საჭიროა, რომ ოკუპანტი ძალის წარმომადგენლებმა ტერიტორიაზე საკმაოდ დიდი დრო დაჰყონ), ის დებულებები, რომლებიც დაცული პირების მიერ უფლებებით სარგებლობას ან მათ მოპყრობას უკავშირდება, დაუყოვნებლივ იწყებს მოქმედებას.

[14] საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლით გათვალისწინებული ვალდებულებების გარდა, ოკუპანტმა ძალამ, მცირედი გამონაკლისების გარდა, უნდა დაიცვას ადამიანის უფლებების საერთაშორისო სამართლისა და ეროვნული კანონმდებლობის მოთხოვნები. ადამიანის უფლებების სამართალთან მიმართებით, ცალკეული უფლებების შეზღუდვა შესაძლებელია, თუკი ამა "მკაცრად მოითხოვს ვითარების სიმძაფრე", თუმცა, ნებისმიერი შეზღუდვა მაინც უნდა აკმაყოფილებდეს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის სტანდარტებს.

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ძირითადი პრინციპები არეგულირებს სამხედრო ოკუპაციას?

[15] საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის თანახმად, როგორც კი ოკუპანტი ძალა ტერიტორიაზე ან მის ნაწილზე ხელისუფლებას დაამყარებს, ის ვალდებულია შემდეგისდაგვარად აღადგინოს და დაიცვას საჯარო წესრიგი და უსაფრთხოება (ჰააგის რეგულაციების 43-ე მუხლი). ოკუპანტმა ძალამ აგრეთვე უნდა დაიცვას ამ ტერიტორიის მოსახლეობის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, მათ შორის, იმ პირთა უფლებებიც, ვინც ამ ქვეყნის მოქალაქეები არ არიან (ქენევის IV კონვენცია, 29-ე და 47-ე მუხლები), და უზრუნველყოს ჰიგიენისა და ჯანდაცვის სათანადო სტანდარტები, ისევე როგორც ოკუპირებული ტერიტორიების მოსახლეობის წვდომა საკმარის საკვებსა და ჯანმრთელობის სერვისებზე (ქენევის IV კონვენციის 55-56 მუხლები). კოლექტიური სასჯელებისა და რეპრესალიების გამოყენება იკრძალება (I დამატებითი ოქმის 75-ე მუხლი). წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საერთაშორისო მოძრაობას შესაძლებლობა უნდა მიეცეს მანდატის ფარგლებში განახორციელოს ჰუმანიტარული საქმიანობა (ქენევის IV კონვენციის 63-ე მუხლი).

რა სახის დაცვის ვალდებულება ეკისრება ოკუპანტ ძალას ადგილობრივი მოსახლეობის მიმართ?

[16] ოკუპანტი ძალა ვალდებულია პატივი სცეს და დაიცვას მის ხელისუფლებას დაქვემდებარებული მოსახლეობის ძირითადი უფლებები. ყველას ჰუმანურად უნდა ეპყრობოდნენ და დაუშვებელია ეთნიკური, რელიგიური ან ნებისმიერი სხვა ნიშნით დისკრიმინაცია. აღნიშნული მოიცავს ოჯახის ღირსებისა და უფლებების, ადამიანების სიცოცხლის, კერძო საკუთრების, ისევე როგორც რელიგიური გრძნობებისა და ჩვეულებების პატივისცემის ვალდებულებებს.

[17] თავდასხმისაგან ან სხვა სახის ხელყოფისაგან განსაკუთრებული დაცვით სარგებლობენ ქალები, მათ შორის გაუპატიურების, იძულებითი პროსტიტუციის ან ნებისმიერი სხვა ფორმის შევიწროებისგან. ოკუპანტი ძალის წარმომადგენლები ყველას თანასწორად უნდა მოეპყრან და დაუშვებელია რაიმე სახის განსხვავება განსაკუთრებით რასის, რელიგიის ან პოლიტიკური შეხედულების საფუძველზე. კერძო საკუთრების კონფისკაცია დაუშვებელია (ჰააგის რეგულაციების 46-ე მუხლი; ქენევის IV კონვენციის 27-ე მუხლი). თუმცა, ოკუპანტი ძალას შეუძლია გაატაროს ომის მდგომარეობით განპირობებული ცალკეული კონტროლისა და უსაფრთხოების ღონისძიებები (ქენევის IV კონვენციის 27-ე მუხლი).

[18] ოკუპანტი ძალას განსაკუთრებით ეკრძალება ოკუპირებული ტერიტორიის მოსახლეობისა და მათი საკუთრების მიმართ რეპრესალიებისა და კოლექტიური სასჯელების გამოყენება (ქენევის IV კონვენციის 33-ე მუხლი) და მძევლების აყვანა (ქენევის IV კონვენციის 34-ე მუხლი). ზოგადად, დაუშვებელია პირთა დასჯა იმ დანაშაულებისთვის, რომელიც მათ პირადად არ ჩაუდენიათ. კონფლიქტის ყველა მხარეს მოეთხოვება დამუშავოს და გაცვალოს ინფორმაცია სამხედრო ტყვეებისა (ქენევის III კონვენციის 122-ე მუხლი) და დაკავებული დაცვით მოსარგებლე პირების (სამოქალაქო პირების) შესახებ (ქენევის IV კონვენციის 136-ე მუხლი).

ოკუპანტი ძალას ეკრძალება ნებისმიერი მიზეზისა თუ მოტივის მიუხედავად ოკუპირებული ტერიტორიებიდან მოსახლეობის იძულებით გადაადგილება ან დეპორტაცია (ქენევის IV კონვენციის 49-ე მუხლი).

რა ვალდებულებები აქვს რუსეთს, როგორც ოკუპანტ ძალას ყირიმის ხელისუფლების ორგანოებისა და იმ ადგილობრივი შეიარაღებული ძალების მიმართ, როგორიცაა 'ყირიმის რესპუბლიკის არმია' და თავდაცვის ძალები?

[19] რუსეთი ვალდებულია დაიცვას ოკუპაციის სამართალი უკრაინის იმ ტერიტორიებზე, სადაც ის ამჟამად უკრაინის მთავრობის მხრიდან თანხმობის არარსებობის პირობებში ეფექტურ კონტროლს ახორციელებს, სულ ცოტა კი - ყირიმის ნაწილზე. იქაც კი, სადაც ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ჯერ კიდევ ადგილზე იმყოფებიან, რუსეთს მოეთხოვება დაიცვას საერთაშორისო ვალდებულებები სამოქალაქო მოსახლეობის მიმართ და უზრუნველყოს საჯარო უსაფრთხოება და კეთილდღეობა. აღნიშნული გულისხმობს, რომ რუსეთი ვალდებულია უზრუნველყოს მასთან დაკავშირებული ადგილობრივი შეიარაღებული ძალების მიერ ადამიანის უფლებების დარღვევების პრევენცია. იმ შემთხვევაშიც კი, თუკი ეს ჯგუფები ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებისგან დამოუკიდებლად მოქმედებენ, რუსეთი ვალდებულია გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები, რათა უზრუნველყოს უსაფრთხოება ოკუპირებულ ტერიტორიაზე.

რა ვალდებულებები ეკისრება ოკუპანტ ძალას მოსახლეობის კეთილდღეობის უზრუნველყოფის კუთხით?

[20] ზოგადად ოკუპანტი ძალა ვალდებულია უზრუნველყოს, რომ მის კონტროლს დაქვემდებარებული ტერიტორიის მოსახლეობას ხელი მიუწვდება საკვებსა და ჯანდაცვაზე, და ხელი შეუწყოს ჰუმანიტარული ორგანიზაციების მიერ მათთვის ჰუმანიტარული დახმარების მიწოდებას.

[21] ოკუპანტი ძალა ვალდებულია 'მის ხელთ არსებული რესურსებისა და საშუალებების გათვალისწინებით შეძლებისდაგვარად' იქონიოს საკვებისა და მედიკამენტების სათანადო მარაგი, ისევე როგორც შეინარჩუნოს ფუნქციონირებადი საავადმყოფოები და სხვა უზრუნველყოს სამედიცინო მომსახურება (ჟენევის IV კონვენციის 55-56 მუხლები). აღნიშნული მოიცავს სამოქალაქო საავადმყოფოების, სამედიცინო პერსონალისა და დაჭრილი და ავადმყოფი პირების დაცვის ვალდებულებას. სამედიცინო პერსონალს, მათ შორის წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებებს უფლება აქვთ განახორციელონ თავიანთი საქმიანობა ოკუპირებულ ტერიტორიებზე (ჟენევის IV კონვენციის 56 და 63 მუხლები). ოკუპანტ ძალას მოეთხოვება გაატაროს სპეციალური ღონისძიებები დაობლებული და მშობლებისა თუ ოჯახისგან განცალკევებული ბავშვების დასაცავად (ჟენევის IV კონვენციის 24-ე მუხლი) და ხელი შეუწყოს ოჯახებს შორის ინფორმაციის გაცვლას (ჟენევის IV კონვენციის 25 და 26 მუხლები).

[22] თუკი ოკუპირებული ტერიტორიის მოსახლეობის ნაწილის მომარაგება არასაკმარისია, ოკუპანტი ძალა ვალდებულია სხვა ქვეყნისა თუ დამოუკიდებელი ჰუმანიტარული ორგანიზაციების დახმარებას ხელი შეუწყოს (ჟენევის IV კონვენციის 59-ე მუხლი). თუმცა, სხვა აქტორების მხრიდან დახმარების გაწევა ოკუპანტ ძალას ადგილობრივი მოსახლეობის მიმართ ვალდებულებებისგან არ ათავისუფლებს (ჟენევის IV კონვენციის მე-60 მუხლი). ოკუპანტმა ძალამ უნდა უზრუნველყოს ჰუმანიტარული პერსონალის დაცვა.

უნდა დართოს თუ არა ნება ოკუპანტმა ძალამ ჰუმანიტარულ ორგანიზაციებს, რომ მათ მოინახულონ სამხედრო ტყვეები და სხვა დაკავებული პირები?

[23] ჟენევის მესამე და მეოთხე კონვენცია ავალდებულებს შეიარაღებული კონფლიქტის მხარეებს, რომ წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტსა და სხვა ჰუმანიტარულ ორგანიზაციებს ჰქონდეთ წვდომა სამხედრო ტყვეებსა და ინტერნირებულ სამოქალაქო პირებთან. წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტს უნდა მიეცეს შესაძლებლობა რეგულარულად მოინახულოს ყველა თავისუფლებადკვეთილი პირი, ზედამხედველობა გაუწიოს მათი დაკავების პირობებს და აღადგინოს დაკავებული პირების კონტაქტი მათ ოჯახის წევრებთან. წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტს აქვს სრული თავისუფლება არჩიოს თავისუფლების აღკვეთის ის დაწესებულებები, რომლის მონახულებაც სურს და კონფიდენციალურად გაესაუბროს დაკავებულ პირებს. ვიზიტზე უარი მხოლოდ 'სამხედრო აუცილებლობის იმპერატიული მოთხოვნებით' შეიძლება გამართლდეს და ის მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში დროებითი ღონისძიება უნდა იყოს. სხვა ჰუმანიტარულ ორგანიზაციებს უფლება აქვთ მოითხოვონ სამხედრო ტყვეებისა და დაკავებული პირების მონახულება. დამკავებელმა სახელმწიფომ უნდა გასცეს ასეთი ვიზიტების ნებართვა, თუმცა მან შეიძლება შეზღუდოს იმ ჰუმანიტარული ორგანიზაციების რიცხვი, რომლებმაც დაკავებული პირი შეიძლება მოინახულონ.

რა შემთხვევაში აქვს უფლება ოკუპანტ ძალას დააკავოს ან დააპატიმროს სამოქალაქო პირი?

[24] ჟენევის IV კონვენცია ითვალისწინებს დაცვით მოსარგებლე პირის ინტერნირებას ან მისთვის საცხოვრებლის განსაზღვრის შესაძლებლობას, რაც განპირობებულია 'უსაფრთხოების იმპერატიული მიზეზებით'. თუმცა აღნიშნული უნდა მოხდეს ჰუმანიტარული სამართლით გათვალისწინებული რეგულარული პროცედურის მოთხოვნების შესაბამისად და დაკავებულ პირს უნდა მიეცეს გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობა და

უნდა მოხდეს სულ ცოტა ყოველ ექვს თვეში ერთხელ გადაწყვეტილების კომპეტენტური ორგანოს მიერ გადახედვა (ქენევის IV კონვენციის 78-ე მუხლი). ქენევის IV კონვენცია ითვალისწინებს დეტალურ მოთხოვნებს ინტერნირებული პირების მიმართ ჰუმანური მოპყრობის კუთხით. წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტს უნდა მიეცეს შესაძლებლობა მოინახულოს დაცვით მოსარგებლე ყველა, მათ შორის თავისუფლებადკვეთილი, პირი.

რა ვალდებულებები ეკისრება ოკუპანტ ძალას ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული რესურსებისა და ქონების დაცვის კუთხით?

[25] ზოგადად კერძო თუ საჯარო საკუთრების განადგურება აკრძალულია თუკი ეს სამხედრო მოქმედებების ფარგლებში აბსოლუტურად აუცილებელი არ არის (ქენევის IV კონვენციის 53-ე მუხლი). კულტურული ობიექტები სპეციალური დაცვით სარგებლობენ. ოკუპანტ ძალას ევალება გაატაროს ღონისძიებები კულტურული ობიექტების დაცვის კუთხით (კულტურული ობიექტების დაცვის შესახებ კონვენცია, მე-5 მუხლი). როგორც წესი, კერძო საკუთრების კონფისკაცია დაუშვებელია. რელიგიური, საქველმოქმედო და საგანმანათლებლო დაწესებულებები კერძო საკუთრების მსგავსად არის დაცული. ოკუპანტ ძალას უფლება აქვს მოახდინოს საკვებისა და მედიკამენტების რეკვიზიცია ოკუპაციის განმახორციელებელი შეიარაღებული ძალებისა და ადმინისტრაციული პერსონალისთვის, თუკი ამ პროცესში გათვალისწინებულია სამოქალაქო მოსახლეობის ინტერესები და მის სანაცვლოდ გადახდილია სათანადო ანაზღაურება (ქენევის IV კონვენციის 55-ე მუხლი). დასაშვებია გადასახადების დაწესებაც ოკუპაციასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული ხარჯების დასაფარად (ჰააგის რეგულაციების 49-ე მუხლი).

[26] მოძრავი სჯარო ქონება, რომლის გამოყენებაც შესაძლებელია სამხედრო მიზნებისთვის (ტრანსპორტირებისა თუ იარაღების გადატანისთვის), ალაფად ითვლება და ოკუპანტ ძალას უფლება აქვს დაუფლოს ასეთ ქონებას კომპენსაციის გადაუხდელად (ჰააგის რეგულაციების 53-ე მუხლი). უძრავი საჯარო ქონების (საჯარო დაწესებულებების შენობები და ნაგებობები) მითვისება დაუშვებელია; თუმცა მათი შენარჩუნების პირობებში ოკუპანტ ძალას შეუძლია გამოიყენოს ისინი (ჰააგის რეგულაციების 55-ე მუხლი).

რა ფარგლებით მოქმედებს ადამიანის უფლებების საერთაშორისო სამართალი?

[27] ადამიანის უფლებების სამართალი მოქმედებს ოკუპაციისა და შეიარაღების კონფლიქტების დროს. უკრაინაც და რუსეთიც არიან ადამიანის უფლებების საერთაშორისო ხელშეკრულებების, მათ შორის სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტის და ადამიანის უფლებების ევროპული კონვენციის მხარეები. ამ ხელშეკრულებებით გათვალისწინებულია ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, რომელთაგან ბევრი სამოქალაქო პირების მოპყრობის კუთხით საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლით დადგენილ სტანდარტებს შეესაბამება (მაგალითად, სიცოცხლის უფლება, წამების აკრძალვა, არაჰუმანური და დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვა, დისკრიმინაციის აკრძალვა, თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება, სამართლიანი სასამართლოს უფლება და სხვა). მიუხედავად იმისა, რომ ომის ან საგანგებო მდგომარეობის დროს შესაძლებელია ცალკეული უფლებების შეზღუდვა ან მათგან გადახვევა (მაგალითისთვის, შეკრებისა და მანიფესტაციის უფლება და პირადი ცხოვრების უფლება), ასეთი შეზღუდვები მკაცრად აუცილებელი უნდა იყოს შექმნილი ვითარების გათვალისწინებით და ამაღდროულად, გატარებული ღონისძიებები უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მოთხოვნებს.

ვრცელდება თუ არა ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო მექანიზმების, მათ შორის, ადამიანის უფლებების ევროპული სასამართლოსა და გაეროს ადამიანის უფლებების კომიტეტის იურისდიქცია ყირიმში შექმნილ ვითარებაზე?

[28] ამ მექანიზმების იურისდიქცია ვრცელდება ყირიმზე და მათ შესაძლებელია მიმართონ განმცხადებლებმა იმის დასადგენად, დაარღვიეს თუ არა უკრაინამ და რუსეთმა ყირიმის ტერიტორიაზე ზემოთ მოყვანილი ინსტრუმენტების მოთხოვნები. უკრაინამ უკვე მიმართა ადამიანის უფლებების ევროპულ სასამართლოს რუსეთის წინააღმდეგ სახელმწიფოთაშორისი სარჩელით, რომლის ფარგლებშიც დავობს, რომ რუსეთმა დაარღვია ადამიანის უფლებების ევროპული კონვენცია. სარჩელის მიღებისთანავე, ევროპულმა სასამართლომ 'მსგავსი დარღვევების პრევენციის მიზნით' მოუწოდა უკრაინასაც და რუსეთსაც 'თავი შეიკავონ ისეთი ღონისძიებების გატარებისგან, განსაკუთრებით კი სამხედრო მოქმედებებისგან, რამაც შესაძლოა კონვენციით აღიარებული სამოქალაქო მოსახლეობის უფლებების დარღვევა გამოიწვიოს, მათ შორის საფრთხის ქვეშ ჩააყენოს მათი სიცოცხლე და ჯანმრთელობა, და დაიცვან კონვენციით გათვალისწინებული ვალდებულებები, განსაკუთრებით მე-2 (სიცოცხლის უფლება) და მე-3 (არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვა) მუხლები.' სასამართლომ ორივე მხარეს მოუწოდა დაუყოვნებლივ მიაწოდონ მას ინფორმაცია იმ ზომების შესახებ, რაც კონვენციის დაცვის უზრუნველყოფის კუთხით გატარდა.

B. უკრაინის ტერიტორიული მთლიანობა, გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუცია

[წყარო: Territorial integrity of Ukraine, UN General Assembly Resolution, A/68/L.39, 27 მარტი 2014, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: http://www.un.org/ga/search/view_doc.asp?symbol=A/68/L.39]

[...]

[1] მიუთითებს რა 24 აგვისტოს 2625 (XXV) რეზოლუციაზე, რომლითაც დამტკიცდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების შესაბამისად სახელმწიფოთა შორის მეგობრული ურთიერთობებისა და თანამშრომლობის შესახებ საერთაშორისო სამართლის პრინციპების დეკლარაცია, და აღიარებს რა ამ დოკუმენტით გათვალისწინებულ პრინციპებს, რომლის თანახმადაც ძალის გამოყენების ან ძალის გამოყენების მუქარის შედეგად სახელმწიფოს ტერიტორიის სხვა სახელმწიფოს მიერ დაუფლება, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისა და ეროვნული ერთობის სრულად ან ნაწილობრივ განადგურებისა თუ სახელმწიფოს პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოშლისკენ მიმართული ქმედებები არ შეესაბამება გაეროს წესდების მოთხოვნებს,

[...]

[2] აღნიშნავს რა, რომ ყირიმის ავტონომიურ რესპუბლიკასა და ქალაქ სევასტოპოლში 2014 წლის 16 მარტს გაიმართა რეფერენდუმი, რომელზეც თანხმობა არ განუცხადებია უკრაინას,

[...]

[4] მოუწოდებს ყველა სახელმწიფოს თავი შეიკავოს ისეთი ქმედებებისგან, რომელიც მიმართული იქნება უკრაინის ტერიტორიული მთლიანობისა და ეროვნული ერთობის სრულად ან ნაწილობრივ მოსპობისკენ, მათ შორის ნებისმიერი მცდელობისგან ძალის გამოყენების ან ძალის გამოყენების მუქარის თუ სხვა მსგავსი უკანონო ქმედებების გზით უკრაინის შეცვალოს უკრაინის ეროვნული საზღვრები;

[...]

[5] ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ ყირიმის ავტონომიურ რესპუბლიკასა და ქალაქ სევასტოპოლში 2014 წლის 16 მარტს გამართული რეფერენდუმი, რომელიც არანაირი სამართლებრივი წონა არ აქვს, ვერ ჩაითვლება სათანადო საფუძვლად საიმისოდ რომ შეიცვალოს ყირიმის ავტონომიური რესპუბლიკისა და ქალაქ სევასტოპოლის სტატუსი;

[6] მოუწოდებს ყველა სახელმწიფოს, საერთაშორისო ორგანიზაციასა და სპეციალიზებულ ორგანოებს არ ცნონ ყირიმის ავტონომიური რესპუბლიკისა და ქალაქ სევასტოპოლის სტატუსის რაიმე ფორმით ცვლილება ზემოხსენებული რეფერენდუმის საფუძველზე და თავი შეიკავონ ისეთი ქმედებებისგან ან შეთანხმებებისგან, რომლებიც შესაძლოა მათი სტატუსის შეცვლის აღიარებად იქნეს აღქმული.

C. რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს კომენტარი 'უკრაინის ტერიტორიული მთლიანობის შესახებ' გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის რეზოლუციის პროექტზე კენჭისყრის შესახებ

[წყარო: Comment by the Information and Press Department of the Russian Ministry of Foreign Affairs regarding the voting on the draft resolution 'Territorial integrity of Ukraine' in the UN General Assembly, 28 მარტი 2014, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: http://www.mid.ru/bdomp/brp_4.nsf/e78a48070f128a7b43256999005bcb3/459d8bab9da38cca44257cac003ea88d]

[1] 27 მარტს გაიმართა გაეროს გენერალური ასამბლეის პლენარული სხდომა, რომლის ფარგლებშიც განიხილეს უკრაინის დელეგაციის მიერ სხვა თანაავტორ ქვეყნებთან ერთად წარმოდგენილი რეზოლუციის - 'უკრაინის ტერიტორიული მთლიანობა' - პროექტი. როგორც გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციის პროექტი, რომელიც 15 მარტს ვერ მიიღეს, გენერალური ასამბლეის რეზოლუციის ტექსტი სახელმწიფოებს მოუწოდებს არ აღიარონ ყირიმის მოსახლეობის მიერ წარმატებით განხორციელებული თვითგამორკვევის სამართლებრივი შედეგები.

[...]

[2] უკრაინის საქმეებში არაერთი დასავლური სახელმწიფოს ჩარევის კვალი აშკარაა: კიევში ძალაუფლების არაკონსტიტუციური გზით შეცვლა, რეგიონულ და ცენტრალურ დონეზე სახელმწიფო წესრიგის სისტემის სრული კრაზი, სამართალდამცავი ორგანოების უუნარობა, ექსტრემისა და ფაშისტების ქმედებები, ადამიანის უფლებების ფართომასშტაბიანი დარღვევები, ეროვნული და ენობრივი უმცირესობების წარმომადგენლების წინააღმდეგ მიმართული მუქარა კიდევ უფრო ამძიმებს ეკონომიკურ და სოციალურ მდგომარეობას.

[3] გაეროს წევრ სახელმწიფოთა შორის აზრთა სხვადასხვაობა და იმ სახელმწიფოების მრავალრიცხოვნება, რომლებმაც თავი შეიკავეს ხმის მიცემისგან ან არ გამოცხადნენ სხდომაზე ადასტურებს, რომ უკრაინაში განვითარებულ მოვლენებს ყველა ერთგვარად არ აფასებს. ამავდროულად, ცნობილია, რომ პოლიტიკური შანტაჟისა და ეკონომიკური მუქარის გზით განხორციელებულმა ურცხვმა ზეწოლამ გავლენა იქონია არაერთი სახელმწიფოს ხმაზე.

[...]

D. უკრაინელი ოფიცერი 'ყირიმში ბაზაზე თავდასხმას ემსხვერპლა'

[წყარო: Ukraine officer 'killed in attack on Crimea base', BBC, 18 მარტი 2014, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <http://www.bbc.com/news/world-europe-26637296>]

[1] უკრაინის თავდაცვის სამინისტრო აცხადებს, რომ ყირიმში ბაზაზე თავდასხმას ოფიცერი ემსხვერპლა. მათი განცხადებით, ეს პირველი ფატალური შემთხვევაა მას შემდეგ, რაც თებერვალში პრო-რუსულმა ძალებმა დაამყარეს კონტროლი ყირიმზე.

[2] უკრაინამ ამ დროისთვის უკვე გასცა განკარგულება ჯარისკაცებისთვის, რომლითაც მათ უფლება მისცა შეიარაღებული ძალა გამოიყენონ თავდაცვისთვის.

[3] ეს შემთხვევა ნახევარკუნძულის რუსეთისთვის შეერთების საკითხზე რუსეთის პრეზიდენტის, ვლადიმერ პუტინისა და ყირიმის ლიდერებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებიდან მხოლოდ რამდენიმე დღის შემდეგ მოხდა.

[...]

'სამხედრო ფაზა'

[4] თვითმხილველებმა BBC-ს განუცხადეს, რომ შეიარაღებული პირები ორი მანქანით მოვიდნენ, რომლებსაც განმასხვავებელი ან მაიდენტიფიცირებელი ნიშნები არ ჰქონია. მათ სიმფეროპოლის ბაზა ავტომატის ტიპის იარაღების გამოყენებით შტურმით აიღეს.

[5] უკრაინის მთავრობამ განაცხადა, რომ მოკლულია ახალწვეული ოფიცერი, რომელიც ბაზის ტერიტორიაზე პარკში მორიგეობდა და დაშავდა კიდევ ერთი ჯარისკაცი. განცხადების თანახმად, მესამე სამხედრო მოსამსახურეს რკინის ჯოხებით ცემისგან ფეხისა და თავის არეში აღენიშნება დაზიანებები.

[6] მთავრობამ განაცხადა, რომ დანაყოფის მეთაური დააკავეს პირებმა, რომლებსაც რუსეთის შეიარაღებული ძალების ფორმა ეცვათ.

[7] თავდაცვის მინისტრის სპიკერმა, ვლადისლავ სელეზნიოვმა Reuter-ს განუცხადა, რომ თავდასხმა განხორციელეს 'უცნობმა ძალებმა, რომლებიც სრულად იყვნენ აღჭურვილნი და სახეზე ნიშნებს ატარებდნენ'.

[...]

[8] პრემიერ მინისტრის შემცვლელმა, არსენი იაცენიუკმა მთავრობის საგანგებო სხდომაზე განაცხადა რომ: 'კონფლიქტი პოლიტიკური ფაზიდან სამხედრო ფაზაში გადავიდა'.

[9] 'რუსმა ჯარისკაცებმა დაიწყეს უკრაინელი სამხედრო მოსამსახურეების მისამართით ცეცხლის გახსნა და ეს ომის დანაშაულია'.

[10] ყირიმის საინფორმაციო სააგენტოს, Kryminform-ის განცხადებით, შეიარაღებული დაპირისპირების შედეგად მოკლულია პრო-რუსული ძალების წევრი.

[11] ყირიმის პოლიციამ მოგვიანებით განაცხადა, რომ უკრაინელი და პრო-რუსული ძალების წევრების მიმართ ცეცხლი ერთი და იგივე ადგილიდან გაიხსნა, რომლის შედეგადაც გარდაიცვალა ერთი და დაშავდა ერთი უკრაინელი ჯარისკაცი, ხოლო პრო-რუსული ძალების რიგებიდან მოკლულია ერთი პირი. დამატებითი ინფორმაცია ამ დროისთვის არ არსებობს.

[...]

E. კანონი რუსეთის სისხლის სამართლის კოდექსისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ყირიმსა და სევასტოპოლში გავრცელების შესახებ

[წყარო: Law on applying provisions of Russia's Criminal and Criminal Procedure codes in Crimea and Sevastopol, President of Russia, 5 მაისი 2014, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <http://eng.news.kremlin.ru/acts/7120>]

[1] ვლადიმერ პუტინმა ხელი მოაწერა ფედერალურ კანონს რუსეთის ფედერალური სისხლის სამართლის კოდექსისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ყირიმის რესპუბლიკასა და ფედერალური მნიშვნელობის ქალაქ სევასტოპოლში გავრცელების შესახებ.

[2] კანონი დაარეგულირებს ყირიმისა და სევასტოპოლის რუსეთის სამართლებრივ სისტემაში ინტეგრაციის ცალკეულ ასპექტებს, განსაკუთრებით კი სისხლის სამართლის კოდექსისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის აღსრულების სფეროში.

F. სახელმწიფო დუმისთვის წარდგენილი კანონპროექტი ყირიმისა და სევასტოპოლის სასამართლოების შექმნის შესახებ

[წყარო: Draft laws on establishing courts in Crimea and Sevastopol submitted to State Duma, President of Russia, 5 მაისი 2014, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <http://eng.news.kremlin.ru/acts/7113>]

[1] ვლადიმერ პუტინმა სახელმწიფო დუმას მიმართა ოთხი საკანონმდებლო წინადადებით, რუსეთის ფედერაციაში შემავალ ორ ახალ ერთეულში ყირიმსა და სევასტოპოლში ზოგადი იურისდიქციის სასამართლოებისა, მათ შორის სამხედრო სასამართლოების, და საარბიტრაჟო სასამართლოების შექმნის შესახებ.

[2] ყირიმის რესპუბლიკასა და ფედერალური მნიშვნელობის ქალაქ სევასტოპოლში რუსეთის ფედერალური სასამართლოების შექმნის შესახებ ფედერალური კანონის პროექტი დააფუძნებს ყირიმის რესპუბლიკის უზენაეს სასამართლოსა და საარბიტრაჟო სასამართლოებს, ყირიმის რაიონულ და საქალაქო სასამართლოებს, სევასტოპოლის საარბიტრაჟო სასამართლოს, ყირიმის გარნიზონის სამხედრო სასამართლოს, და სევასტოპოლის გარნიზონის სამხედრო სასამართლოს.

[3] ამ კანონის მიღება შესაძლებელს გახდის ყირიმსა და სევასტოპოლში მართლმსაჯულების სისტემის ფუნქციონირებას და უზრუნველყოფს ამ რეგიონების მოსახლეობის მიერ კონსტიტუციური უფლებებით სარგებლობის პროცესში მართლმსაჯულების სისტემაზე წვდომას.

[...]

დისკუსია:

I. სიტუაციის კლასიფიკაცია და გამოსაყენებელი სამართალი

1. (დოკუმენტი A, პარაგრაფები [1]-[14])

a. როგორ განმარტავდით ოკუპაციას? აკვალიფიცირებს თუ არა HRW-ის ანგარიში ყირიმს ოკუპირებულ ტერიტორიად? რა ტესტს იყენებს HRW-ის ანგარიში იმის დასადგენად, ადგილი ჰქონდა თუ არა უკრაინის ტერიტორიის ნაწილის ოკუპაციას რუსეთის მიერ? არის თუ არა ყირიმი უკრაინის ტერიტორია? იძლევა თუ არა HRW-ის ანგარიში ოკუპაციის განმარტებას? (GC I-IV, მე-2 მუხლი; P I, 1-ლი მუხლი; HR, 42-ე მუხლი)

b. ეთანხმებით თუ არა HRW-ის მოსაზრებას, რომ სახეზე იყო ოკუპაცია? გამორიცხავს თუ არა სახელმწიფოს თანხმობა მოწინააღმდეგე მხარის შეიარაღებული ძალების მის ტერიტორიაზე ყოფნის საკითხზე სიტუაციის ოკუპაციად დაკვალიფიცირების შესაძლებლობას? მაშინაც კი თუ მოწინააღმდეგე მხარის შეიარაღებული ძალები ტერიტორიის ნაწილზე ეფექტურ კონტროლს ახორციელებენ? (GC I-IV, მე-2 მუხლი; P I, 1-ლი მუხლი; HR, 42-ე მუხლი)

c. შესაძლებელია თუ არა ყირიმი ოკუპირებულ ტერიტორიად ჩაითვალოს იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ შავი ზღვის ფლოტის სტატუსისა და პირობების შესახებ 1977 წლის გაყოფის ხელშეკრულებით უკრაინა დაეთანხმა რუსეთის შეიარაღებული ძალების მის ტერიტორიაზე ყოფნას? (GC I-IV, მე-2 მუხლი; P I, 1-ლი მუხლი; HR, 42-ე მუხლი)

d. (დოკუმენტი A, პარაგრაფი [3]; დოკუმენტი B, პარაგრაფები [1]-[6]; დოკუმენტი C, პარაგრაფები [1]-[3]) შესაძლებელია თუ არა, რომ 2014 წლის 17 მარტის რეფერენდუმის შედეგებისა და ყირიმისა და ქალაქ სევასტოპოლის რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში შესვლის შესახებ ერთის მხრივ რუსეთის პრეზიდენტსა და მეორეს მხრივ ყირიმის ლიდერებს შორის გაფორმებული შეთანხმების მიუხედავად ეს ტერიტორიები ოკუპირებულად ჩაითვალოს? (GC I-IV, მე-2 მუხლი; P I, 1-ლი მუხლი; HR, 42-ე მუხლი)

e. (დოკუმენტი C, პარაგრაფი [2]) თუკი C დოკუმენტის მე-2 პარაგრაფში მოცემული ფაქტები სიმართლეს შეესაბამება, ჩაითვლებოდა თუ არა ეს ოკუპაციის მარეგულირებელი საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მოქმედების საკმარის წინაპირობად? (GC I-IV, მე-2 მუხლი; P I, 1-ლი მუხლი; HR, 42-ე მუხლი)

2. (დოკუმენტი B პარაგრაფები [1]-[6]; დოკუმენტი C, პარაგრაფები [1]-[3]) ეხება თუ არა გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუცია ოკუპაციის საკითხს? რა როლი ეკისრება გაეროს იმის დადგენაში, სახეზეა თუ არა ტერიტორიის ოკუპაცია? (GC I-IV, მე-2 მუხლი; P I, 1-ლი მუხლი; HR, 42-ე მუხლი)

3. (დოკუმენტი A, პარაგრაფები [8]-[28]) HRW-ის აზრით, საერთაშორისო სამართლის რომელი წესები ვრცელდება ყირიმში შექმნილ ვითარებაზე? როდის დაიწყო ამ წესებმა მოქმედება? როდის ასრულებს მოქმედებას ეს წესები? თუკი ცალკეული საკითხი რეგულირდება როგორც საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალით, ისე - ადამიანის უფლებების სამართალით, რომელი წესები გამოიყენება? (GC I-IV, მე-2 მუხლი; GC IV, მე-6 მუხლი; P I, 1-ლი და მე-3 მუხლები; HR, 42-ე მუხლი)

4. წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი რომ ყოფილიყო და ჩაგეთვალიდა, რომ ყირიმი ოკუპირებული ტერიტორიაა, გამოიყენებდით და დაეყრდნობოდით თუ არა სიტუაციის ამგვარ კლასიფიკაციას? რა პოტენციური დადებითი და უარყოფითი მხარეები აქვს რუსეთთან წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის ორმხრივ და კონფიდენციალურ დიალოგის ფარგლებში ასეთი კლასიფიკაციის მოხმობას? (GC IV, 10, 11(3), 140 და 143(5) მუხლები; P I, 5(4), 33(3) და 81(1) მუხლები)

5. (დოკუმენტი A, პარაგრაფი [28]) შეუძლია თუ არა ადამიანის უფლებების ევროპულ სასამართლოს და გაეროს ადამიანის უფლებების კომიტეტს გამოიყენოს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის წესები? მიგაჩნიათ, რომ ეს მექანიზმები განსხვავებულ დასკვნებამდე მივიდოდნენ, თუკი ისინი საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალს ან ადამიანის უფლებების სამართალს დაეყრდნობოდნენ სიცოცხლის უფლების სავარაუდო დარღვევის შეფასებისას? წამებისა და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვის სავარაუდო დარღვევის შეფასებისას? (ჩვეულებითი საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის შესახებ კვლევა, წესები 89-90; GC I, მე-12 მუხლი; GC II, მე-12 მუხლი; GC III, მე-13 მუხლი; GC IV, 27-ე მუხლი; P I, 41, 48, 50, 51 და 75-ე მუხლები; HR, 43-ე მუხლი)

6. (დოკუმენტი A, პარაგრაფი [28]) წარმოადგენს თუ არა ადამიანის უფლებების საერთაშორისო სამართლის ძირითად მიზანს მხოლოდ 'სამოქალაქო მოსახლეობის დაცვა'

II. დაცვით მოსარგებლე პირები

7. (დოკუმენტი D, პარაგრაფები [1]-[11]) კანონიერი იყო თუ არა საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მიხედვით ყირიმის ბაზაზე უკრაინელი ოფიცრის მკვლელობა? ადამიანის უფლებების საერთაშორისო სამართლის მიხედვით? თუკი პასუხი განსხვავებულია იმის მიხედვით, ინიციატივა ადამიანის უფლებების სამართლის გადმოსახედიდან შეფასდება თუ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის, მაშინ რომელს მიენიჭება უპირატესობა? საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მიხედვით, არის თუ არა ჯარისკაცი კანონიერი სამიზნე? ეთანხმებით თუ არა განცხადებას, რომ 'რუსმა ჯარისკაცებმა ცეცხლი გახსნეს უკრაინელი სამხედრო მოსამსახურეების მიმართ და ეს ომის დანაშაულია?' (ჩვეულებითი საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის შესახებ კვლევა, წესი 89; P I, 41, 48, 50 და 51-ე მუხლები; HR, 43-ე მუხლი)

8. (დოკუმენტი D, პარაგრაფი [5]) რას ამბობს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი ცემაზე? უკრაინელი სამხედრო მოსამსახურეების ცემით დაირღვა თუ არა საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი? (ჩვეულებითი საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის შესახებ კვლევა, წესი 90; GC I, მე-12 მუხლი; GC II, მე-12 მუხლი; GC III, მე-13 მუხლი; GC IV, 27-ე მუხლი; P I, 75-ე მუხლი; GC I-IV, საერთო მე-3 მუხლი; P II, მე-4 და მე-5 მუხლები)

9. (დოკუმენტი A, პარაგრაფი [24] და [27]; დოკუმენტი D, პარაგრაფი [6])

a. კანონიერი იყო თუ არა საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მიხედვით მეთაურის დაკავება? ექნებოდა თუ არა მნიშვნელობა რუსეთის შეიარაღებულმა ძალებმა დააკავეს ის თუ პრო-რუსულმა ძალებმა? (GC III, 21-ე მუხლი; GC IV, 78-ე მუხლი; [ჩვეულებითი საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის შესახებ კვლევა, წესი 99](#))

b. საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მიხედვით აქვს თუ არა უფლება შეიარაღებული კონფლიქტის მხარეს დააკავოს პირები? რა შემთხვევებშია დასაშვები შეიარაღებული კონფლიქტის დროს პირთა დაკავება? (GC III, 21-ე მუხლი; GC IV, 78-ე მუხლი; [ჩვეულებითი საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის შესახებ კვლევა, წესი 99](#))

c. ვრცელდება თუ არა ადამიანის უფლებების საერთაშორისო სამართალი შეიარაღებული კონფლიქტის ფარგლებში დაკავებულ პირებზე? განსხვავდება თუ არა დაკავების მარეგულირებელი საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის წესები ადამიანის უფლებების საერთაშორისო სამართლის წესებისგან? (GC III, 21-ე მუხლი; GC IV, 78-ე მუხლი; [ჩვეულებითი საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის შესახებ კვლევა, წესი 99](#))

10. (დოკუმენტი A, პარაგრაფი [23])

a. არსებობს თუ არა საერთაშორისო სამართალში ვალდებულება, რომლის თანახმადაც შეიარაღებული კონფლიქტის მხარეები ვალდებულნი არიან ნება დართონ წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის წარმომადგენლებს მოინახულოს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში მყოფი პირები? ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები პირები, რომლებიც არ არიან დაკავებულნი? რას ამბობს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი სხვა ორგანიზაციების მიერ დაკავების ადგილების მონახულების შესახებ? (GC III, 126-ე მუხლი; GC IV, 76-ე და 145-ე მუხლები)

b. უნდა ჰქონოდა თუ არა წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტსა და სხვა ჰუმანიტარულ ორგანიზაციებს შესაძლებლობა მოეწოდებინათ თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში მყოფი პირები მაშინაც კი, თუ ისინი 'პრო-რუსულმა ძალებმა' ან 'თავდაცვის ძალების წევრებმა' დააკავეს? (GC III, 126-ე მუხლი; GC IV, 76-ე და 145-ე მუხლები; [ჩვეულებითი საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის შესახებ კვლევა, წესი 124](#))

c. მიგაჩნიათ, რომ წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტისა და სხვა ჰუმანიტარული ორგანიზაციების მიერ თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებების მონახულება მნიშვნელოვანია? რატომ? (GC III, 126-ე მუხლი; GC IV, 76-ე და 145-ე მუხლები; [ჩვეულებითი საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის შესახებ კვლევა, წესი 124](#))

III. სისხლის სამართლის კანონმდებლობა და სასამართლოები

11. (დოკუმენტი E, პარაგრაფები [1]-[2]) რას ამბობს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი ოკუპირებულ ტერიტორიაზე სისხლის სამართლის კანონმდებლობის შეცვლის საკითხზე? (GC IV, 64-65 მუხლები; P I, 75-ე მუხლი; [ჩვეულებითი საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის შესახებ კვლევა, წესები 100-101](#))

12. (დოკუმენტი F, პარაგრაფები [1]-[3]) რას ამბობს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი ოკუპირებულ ტერიტორიაზე ახალი სასამართლოების შექმნის შესახებ? შესაძლებელია თუ არა, რომ 'მართლმსაჯულების სისტემის ფუნქციონირება და ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ პირთა კონსტიტუციური უფლებების უზრუნველყოფა' ჩაითვალოს ახალი სასამართლოების შექმნის გამამართლებელ მიზეზად? (GC IV, 68-ე მუხლი)

IV. სახელმწიფო პასუხისმგებლობა

13. (დოკუმენტი A, პარაგრაფი [4]) რა ვალდებულებები აქვს ოკუპანტ ძალას საჯარო წესრიგის დაცვის კუთხით? რას გულისხმობს საჯარო წესრიგისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის ვალდებულება? (HR, 43-ე მუხლი)

14. (დოკუმენტი A, პარაგრაფები [2], [7], [19]-[22]; დოკუმენტი D, პარაგრაფები [1], [3]-[5] და [7]) შესაძლებელია თუ არა, რომ დადგეს რუსეთის ფედერაციის პასუხისმგებლობის საკითხი 'პრო-რუსული ლაშქრებისა' და 'თავდაცვის ძალების' მიერ ჩადენილი საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დარღვევებისთვის? თუ კი, რა შემთხვევაში? გაქვთ თუ არა საკმარისი ინფორმაცია იმისთვის, რომ შეაფასოთ, თუ რამდენად ახორციელებდა რუსეთი საკმარის კონტროლს ამ ძალებზე საიმისოდ, რომ მისი პასუხისმგებლობის საკითხი დადგეს? შესაძლებელია თუ არა, რომ დადგეს რუსეთის ფედერაციის საერთაშორისო პასუხისმგებლობა მხოლოდ იმ საფუძველით, რომ ის ახორციელებდა იმ ტერიტორიის ოკუპაციას, სადაც საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დარღვევები მოხდა და შესაბამისად, ის ახორციელებდა კონტროლს ამ ტერიტორიაზე? (GC I-IV, საერთო 1-ლი მუხლი; HR, 43-ე მუხლი)